

# საქართველოს

# მართლიანი

# ეკლესია

№39  
909



საქართველოს  
საპატირიარქოს  
პრესცენტრის  
ყოველკვირეული  
გამოცემა

27 დეკემბერი - 2 იანვარი 2018 წ. გამოიცა 1999 წლის 8 იანვრიდან  
ვასი 70 თეთრი



„მუხლომოფრეცილი ვეცეზები წმინდა სპირიფონს, შეგვენიოს და  
შესთხოვოს უფალს, რათა მოგანიჭოთ მრავალუამიერი სისოწლე,  
გააჩრნყინოს და განამტკიცოს თქვენი მნიუქმითავრული მოღვაწეობა,  
გფარავფეთ წმინდა სპირიფონი თქვენ და საქართველოს ეკლესია!“

*ერთობის მაწინარეობის მუწეს ეკლესიის*

- ✖ პატირიარქის ეადაგებაში
- ✖ პროექტი — „ახალი შუათა  
ახალი თაობის მხარდასაჭარად“
- ✖ „გავაძრაპი, მორმოუნო,  
ვიჯანათ უზომისა  
მვებისაგან და მთვრალობისა!“
- ✖ ახალგაზრდა მაცნეობთა  
კლუბის ღონისძიებები ახალი  
საქართველოს უნივერსიტეტში

- ✖ რეანისა და ცოდნის  
სიმართლის შესახებ
- ✖ „ნუთუ ქნელია ვუპასუხოთ  
საღვთო სიყვარულს?!“
- ✖ „მუსიკა იქცა ენად, რომელმაც  
შეგვაძლებინა სისარულისა და  
სიყვარულის გაზიარება“
- ✖ გლვდელი ნიკოლოზ  
კასტელი 1870-1920

## ორთისა და ცოდნის ეპარქია - ახალი საქართველოს უნივერსიტეტი

### ქრისტიანობა და ფილოსოფია

#### რეანისა და ცოდნის სიმუშის შესახებ

ქრისტიანობა უნივერსალური რელიგიაა, ხოლ ფილოსოფია კი უნივერსალური მეცნიერება. ორივე მათგანი სამყაროს შესახებ უნივერსალურ მოძღვრებას ქმნის. ფილოსოფია, ყველა სხვა მეცნიერებისგან განსხვავებით, არის დისკურსული პრაქტიკების ერთიანობა, ე.ი. სამყაროს შესახებ მსოფლე და ველობათა შეჯერების შედეგად მიღებული სააზროვნო პრაქტიკა. სწორედ ეს არის მისი უნივერსალურობის საფუძველი. „უნივერსალური“ აქ იმას ნიშნავს, რომ ფილოსოფია ქმნის ისეთ ენას (მას „მეტაენასაც“ უწოდებენ), რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ნამდვილი დიალოგი სხვადასხვა კულტურისა და რწმენის ადამიანებს შორის. თუკი ქრისტიანობაში ჩადებულია ეს უნივერსალური კოდი, მეორეს მხრივ, ფილოსოფიაც, როგორც სააზროვნო სისტემა, ატარებს ამ უნივერსალურ კოდს.

დღესდღეობით, ფაქტობრივად, იწყება ცალკეული მეცნიერებების ინტეგრაციის სპეციფიკური პროცესი ფილოსოფიაში. ფილოსოფია დიდი ამოცანის წინაშე დგას: მან უნდა შეიმუშაოს ისეთი მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებიც კერძო მეცნიერებებსაც გამოადგება. კერძო მეცნიერებები საჭიროებენ მყარ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. რადგან ისინი სამყაროს ამა თუ იმ სფეროს (მხოლოდ ნაწილობრივ სეგმენტებს) შეისწავლიან, ფილოსოფიის გარეშე კი საკუთარი მეთოდოლოგიის სრულყოფას ვერ შეძლებენ. ამდენად, მათ უნდა მიმართონ „დედამეცნიერებას“ ანუ ფილოსოფიას, რადგან ფილოსოფია არის უნივერსალური მეცნიერება.

ეს ხედვა კარგად იყო ცნობილი გვიანანტიკურობასა და შუა საუკუნეებში. გვიანი ანტიკურობისა და შუა საუკუნეების ქრისტიანმა მოაზროვნებმა კარგად იცოდნენ, რომ ქრისტიანობა უნივერსალური ტენდენციის მატარებელი რელიგიაა, რაც ფილოსოფიისა და ქრისტიანობის უნივერსალური სინთეზის შესაძლებლობას იძლევა. ფაქტია, რომ ფილოსოფიასა და ქრისტიანულ რელიგიას შორის ნაყოფიერი თანამშრომლობა იმის შედეგადაც განვითარდა, რომ ქრისტიანობის პირველი წარმომადგენლები უნივერსალური სააზროვნო სისტემების შექმნას ცდილობდნენ. ადრეული პერიოდის ქრისტიანი მოღვაწეები კარგად იცნობდნენ ანტიკური ფილოსოფიის მრავალ

შესანიშნავ ნიმუშს (მათ შორის, ნეოპლატონიკოსების, სტოელების და სხვათა ნაშრომებს), რომელზე დაყორდნობითაც შესაძლებელი გახდა, რომ ეს სინთეზი უფრო უმტკივნეულოდ განხორციელებულიყო, ვიდრე ის შემდგომ ეპოქებში განხორციელდა.


რელიგია და ფილოსოფია მეტ-ნაკლებად ყველთვის თანაარსებობდა, თუნდაც, ანტიკურ საბერძნები. ცნობილია, რომ პლატონის დიალოგები, ამავე დროს, დიდ წილად იმდროინდელი რელიგიური იმპულსების შემცველიც იყო. სხვა საქმეა, რომ თავად პლატონი ცდილობდა თავისი დიალოგების განტვირთვას ანუ დაცლას ამგვარი იმპულსებისგან. უფრო მეტიც, ის პოეტური ხატების განდევნასაც კი ცდილობდა საკუთარი ფილოსოფიური სისტემისგან. რა თქმა უნდა, მან ეს ვერ მოახერხა!

ამდენად, ფილოსოფია და ქრისტიანობა გვიანანტიკურობაში ერთმანეთს რომ დაუკავშირდა, ბუნებრივი პროცესი იყო. უფრო მეტიც, ეს იმდენად ბუნებრივი პროცესი იყო, რომ შეგვიძლია ვისაუბროთ ფილოსოფიისა და ქრისტიანობის სიმფონიის შესახებ. გვიანანტიკურობაში შეიქმნა უნივერსალური მოდელი, რომელსაც „ქრისტეს ფილოსოფიას“ უწოდებდნენ, თუმცა, ამ სახელთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია ის შიდა, იმანენტური პროცესები, რომელთა გამოც მოხდა ქრისტიანობისა და ფილოსოფიის დაახლოება. ამის შედეგად, ფაქტობრივად, შეიქმნა ფილოსოფიის ახალი მოდელი, რომელსაც, შემდგომ, გვიანი ანტიკური ხანის ეკლესიის მამების მოძღვრების თანახმად, „ქრისტიანული ფილოსოფია“ შეიძლება ეწოდოს.

\*\*\*

ისმის კითხვა: რამდენად არის შესაძლებელი არსებობდეს ისეთი დარგი, როგორიც არის „ქრისტიანული ფილოსოფია“?

ბუნებრივია, როდესაც ადამიანი ამ საკითხის შესახებ ფიქრობ, უმაღ ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად არის შეთავსებადი ეს ორი სიტყვა – „ქრისტიანობა“ და „ფილოსოფია“. თანაც, ისიც ცნობილია, რომ ფილოსოფია და ქრისტიანობა ხშირად ერთმანეთის მტრებად აღიქმებოდა. რატომ ხდება ის, რომ ქრისტიანობა და ფილოსოფია, თითქოსდა, ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ



### აროვესორი თანხიზ ირაგა

მორიგებულან ერთმანეთთან? სავარაუდოდ, ამას თავისი ძირები აქვს!

აკი, ხშირად ამბობენ კიდეც, რომ ფილოსოფიამ შეიძლება „აცდუნოს“ ადამიანი. შეგვიძლია საილუსტრაციოდ მოვიხმოთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პასაჟი გიორგი მერჩულეს თხზულებიდან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. გიორგი მერჩულე ამბობს, რომ გრიგოლ ხანძთელი ამა სოფლის ფილოსოფოსთა სიბრძნისაგან იმას ითვისებდა, რაც სასარგებლო იყო, ხოლო „ჯერკუალს“ კი „განაგდებდაო“. აქ ავტორი ამქვეყნიურ ფილოსოფოსთა სიბრძნეში ერთმანეთისგან განასხვებს სასარგებლოსა და უსარგებლოს, კარგსა და ცუდს. მისი აზრით, ამქვეყნიური ფილოსოფოური სიბრძნე „კეთილ“ მომენტებს მოიცავს, რომლებიც ქრისტიანთათვის, უფრო მეტიც, მლოცველთათვის სასარგებლოა და მისი „შენყნარება“ ხამს.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული აზროვნება ფილოსოფიისა და ლვთისმეტყველების უნივერსალური სინთეზისკენ ისწრაფოდა. საგანგებო კვლევების შედეგად იმ დასკვნამდე მივედი, რომ ქართული ფილოსოფიური და სალვოსმეტყველო აზროვნების ხასიათი თავის საკუთრივ სპეციფიკასა და დინამიკას ფლობს. ქართული აზროვნების მუდმივი თანამგზავრი გახლდათ განსხვავებულ ხედვებში საერთო, შემხვედრი წერტილე-

ბის პოვნის სურვილი. ქართული ფილოსოფიისა და ლვთისმეტყველებისთვის დამახასიათებელია არა იმის ხაზგასმა, რაც განასხვავებს და განაგდებს ადამიანებს ერთმანეთისგან, არამედ იმის ნათელყოფა, რაც მათ ერთმანეთთან აკავშირებს და აერთიანებს. აი, სწორედ აქჩინს ქრისტიანული აზროვნების სპეციფიკაც.

ჩემი აზრით, მთელი ქართული ფილოსოფია არის ქრისტიანული ფილოსოფია არა მხოლოდ ფორმალური აზრით (ის ქრისტიანობაში განვითარდა და მისი მეშვეობით მიაღწია კიდევაც საუკეთესო შედეგებს!), არამედ მისი შინაგანი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. ქრისტიანობის პრინციპია პოვნა იმისა, რაც გვაერთიანებს და უკუგდება იმისა, რაც გვთიშავს. სწორედ ამიტომ, ქართული ფილოსოფია თავისი არსით, თავისი იმანენტური საწყისებიდან გამომდინარე, ქრისტიანული ფილოსოფიაა. ამასთან, ის თავისი ფორმითაც ქრისტიანული ფილოსოფიაა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში, სახე ზეა ორმაგი თანხვედრა.

არადა, ხშირად, დისკუსია იმ კონტექსტში მიდის, რომ საერთოდ ფილოსოფია საშიში! ამ დროს სრულიად უსაფუძლოდ მოიხმობენ პავლე მოციქულის ცნობილ ფრაზებს ( / კორინთელთა მიმართ 1:20: „არა განაცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამა სოფლისავ?“), სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ „გარეგანი ცოდნა“ (ამხოფლიური სიბრძნე) შეიძლება ვნებდეს ადამიანს; ტექსტის სათანადო ანალიზის გარეშე, პირდაპირ მიუთითებენ, რომ აქ იგულისხმება ფილოსოფია. თითქოსდა, ყველა ტიპის ფილოსოფია, ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, ქმნის საშიშროებას, ის არაფერს არგებს, უფრო მეტიც, ვნებს კიდეც ქრისტიანობას. ეს დებულება მრავალმხრივ მცდარი დებულებაა, რადგან ამით ფილოსოფია (ფილოსოფიური ცოდნა) სრულად უარიყოფა და ის აღიქმება, როგორც რელიგიის მტერი. ამით ფილოსოფიას უარი ეთქვა თუნდაც დამხმარედისციპლინის სტატუსზე. არადა, ფილოსოფიის ეს სტატუსი ეფრემ მცირესთან არის გამოკვეთილი – ფილოსოფია კარგი ინსტრუმენტია ქრისტიანისთვის გარეშე მტრებთან დაპირისპირების დროს! ეფრემი ამბობს, რომ ადამიანს, რომელიც ქრისტიანობაში ცდილობს განმტკიცებას და საკუთარი თავი ქრისტიანად მიაჩნია, სჭირდება ფილოსოფია, თუნდაც, „გარეგანი სიბრძნე“. ფაქტია, რომ ამსოფლიური, ამქვეყნიური სიბრძნე საჭიროა საიმისოდ, რომ ქრისტიანმა გზა გაიკვლიოს ამქვეყნიურ სამყაროში.

მაშასადამე, ქრისტიანობისა და ფილოსოფიის ურთიერთმტრული დამოკიდებულების გამოხატ-

ვა და იმის დაფიქსირება, რომ ქრისტიანობა და ფილოსოფია ერთმანეთთან არიან მტრულ დამოკიდებულებაში, თავისთავად არ არის ქართული სააზროვნო ტრადიციის იმანენტური ნაწილი. ეს ხედვა არასოდეს ყოფილა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში მყარად ფესვგადგმული ან პრიორიტეტული. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ შუა საუკუნეებში არსებული გელათის აკადემია ჩაფიქრებული იყო, როგორც „სხვა ათენი“ და „მეორე იერუსალიმი“, ანუ, ასე ვთქვათ, ახალი იერუსალიმი და ათენი. ეს იყო თეორიულ-პრაქტიკული აზროვნების საუკეთესო მოდელი! ქართული აზროვნება არ იყო ანყობილი დაპირისპირების მუხტით. ქართული აზროვნება ყოველთვის ეძებდა პარმონიას და თავსებადობას, ვიღრე დაპირისპირებას, უარყოფას, უკუგდებას და ა.შ. ქართული აზროვნების საუკეთესო სახე – გელათის აკადემია – იყო იერუსალიმისა და ათენის მორიგების მცდელობა. დიდი გელათელი მოაზროვნები – იოანე პეტრინით დაწყებული

და გაბრიელ ეპისკოპოსით და სხვ. მოაზროვნებით დამთავრებული – ფიქრობენ, რომ ადამიანის ეგზისტენციალური სტატუსი, მისი ამქვეყნოური ყოფა გვაფიქრებინებს, ადამიანი არის მორწმუნე და მცოდნე არსება და ეს ორი რამ თავსებადია ერთმანეთთან. გელათურ სკოლაში სწორედ ამის შედეგად დამუშავდა ქრისტიანული ფილოსოფიის მრავალი საფუძველმდებარე საკითხი; უნინარეს ყოვლისა, სახეზეა ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმართებისა და სინთეზის არაერთი საყურადღებო მცდელობა. საყურადღებო იმდენად, რამდენაც საქმე ეხება ისეთ სააზროვნო ტრადიციას, როგორიც ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციაა!

თენიში ირემაძე  
ახალი საქართველოს  
უნივერსიტეტის პროფესორი,  
კავკახიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის  
სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორი